სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/82

ქ. თბილისი 12 ივნისი 2024 წ.

**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს ახლადარჩეული წევრების უფლებამოსილების ცნობის შესახებ**

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ს“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ჩ“ ქვეპუნტის და მე-9 მუხლის პირველი პუნქტის, „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის მართვის ორგანოების (მმართველი სუბიექტები) არჩევნების ჩატარების შესახებ დებულების“ მე-11 მუხლის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ენერგეტიკის ფაკულტეტის საარჩევნო კომისიის №1 ოქმის (05.06.24.), აგრარული მეცნიერებებისა და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის საარჩევნო კომისიის №1 ოქმის (05.06.24.), არჩილ ელიაშვილის სახ. მართვის სისტემების ინსტიტუტის საარჩევნო კომისიის №1 ოქმის (05.06.24.)და აკადემიური საბჭოს 2024 წლის 12 ივნისის №01-05-02/16 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. სტუ-ის აკადემიური საბჭოს წევრის თანამდებობის დასაკავებლად, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ენერგეტიკის ფაკულტეტის საბჭოს მიერ 2024 წლის 5 ივნისის ჩატარებული კენჭისყრის შედეგების საფუძველზე, ცნობილ იქნეს სტუ-ის აკადემიური საბჭოს ახლადარჩეული წევრის, სტუ-ის ენერგეტიკის ფაკულტეტის **ასოც.პროფესორ მარინა რაზმაძის** უფლებამოსილება 4 წლის ვადით.

2. სტუ-ის აკადემიური საბჭოს წევრის თანამდებობის დასაკავებლად, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აგრარული მეცნიერებებისა და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის საბჭოს მიერ 2024 წლის 5 ივნისის ჩატარებული კენჭისყრის შედეგების საფუძველზე, ცნობილ იქნეს სტუ-ის აკადემიური საბჭოს ახლადარჩეული წევრის, აგრარული მეცნიერებებისა და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის პროფესორ **ვასილ ღლიღვაშვილის** უფლებამოსილება 4 წლის ვადით.
3. სტუ-ის აკადემიური საბჭოს წევრის თანამდებობის დასაკავებლად, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არჩილ ელიაშვილის სახ. მართვის სისტემების ინსტიტუტის საბჭოს მიერ 2024 წლის 5 ივნისის ჩატარებული კენჭისყრის შედეგების საფუძველზე, ცნობილ იქნეს სტუ-ის აკადემიური საბჭოს ახლადარჩეული წევრის, სტუ-ის არჩილ ელიაშვილის სახ. მართვის სისტემების ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომლის **გიორგი გიგინეიშვილის** უფლებამოსილება 4 წლის ვადით.
4. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №64.

**აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე** **დ. გურგენიძე**

**აკადემიური საბჭოს მდივანი** **ი. კუტუბიძე**